F567 ✓ 3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

გამოცემის მე-10 წელი.
№ 1 (138)
იანვარი,
1966 წელი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის
საქართველოს საზოგადოების გამოცემა



დედა ქართველისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდება და მშვენდება ჩვენი თბილისი

ვინც დაახლოებით ამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე თბილისში არ ყოფილა, იგი მართლაც და ვეღარ იცნობს საქართველოს ჯაღარა დედაქალაქს, რომელსაც მეორე სიცოცხლე შეუქმნა საბჭოთა ადამიანმა. მრავალმა ახალმა საცხოვრებელმა სახლმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ, პროსპექტებმა, ქუჩებმა, სკვერებმა, ბაღებმა დაამშვენა და გაალამაზა ჩვენი საყვარელი თბილისი.

სურათზე: ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.



კიბოზე შეტევა გრძელდება

თბილისში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან შეიქმნა გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიის შემსწავლელი სსრ კავშირის ეროვნული ცენტრი. ეს მოხდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ავთვისებიან ახალწარმონაქმნთა“ კომპლექსური პრობლემის შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ. ეს ქართველი მედიკების დამსახურების მაღალი შეფასება და აღიარება ონკოლოგიის ამ დარგში.

ეროვნული ცენტრი უხელმძღვანელებს ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში ეგრეთწოდებული კოოპერატიული ცენტრების შექმნის სამუშაოებს. ასეთი ცენტრები მალე გაიხსნება მოსკოვში, ტალინში, ალმა-ატაში, ბაქოში, კიროვაბადსა და სხვა ქალაქებში. ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ონკოლოგიის ინსტიტუტის გინეკოლოგიის განყოფილების გამგემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. ი. ჩარკვიანმა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა.

— კიბოთი დაავადების გეოგრაფიული გავრცელების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების წარმოშობის მიზეზთა გამოვლინებისა და ამ სიმსივნეებთან ბრძოლისათვის. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ, თუ გარემო ქმნის ადამიანს, სწორედ მასში უნდა ვეძებოთ კიბოს განვითარების მიზეზები.

ავთვისებიანი სიმსივნე ყველა ორგანოზე შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ კიბოს განაწილება დაზიანებულ ორგანოთა მიხედვით ყველგან ერთნაირი არ არის. ეს დამოკიდებულია ბუნებრივ (ატმოსფერო, ნიადაგი, წყალი, კლიმატი და ა. შ.) და ხელოვნურ პირობებზე (ჩვევები, პროფესია, კვება და სხვა). მაგალითად, დადგენილია, რომ იაპონიაში უფრო ხშირია კუჭის ავთვისებიანი სიმსივნეები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახალ ზელანდიაში სარძევე ჯირკვლის კიბო ხუთჯერ უფრო ხშირია, ვიდრე ჩილიში და ა. შ.

ჩვენი ცენტრი გამოიკვლევს მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან კიბოს სიმსივნის განვითარებას. თუ ეს მიზეზები გვეცოდინება, უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება ფართოდ განვახორციელოთ გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის

80,2 მილიონი მანეთი, რომელიც საქართველოს პროფკავშირებს გამოეყო სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტიდან, მოხმარდება მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. — განუცხადეს ჩვენს კორესპონდენტს პროფსაბჭოში.

ამ თანხის ნაწილი პენსიების სახით მიეცემათ სამამულო ომის ინვალიდებსა და პენსიონერებს. 21 მილიონი მანეთი დაიხარჯება იმათი შრომის ასანაზღაურებლად, რომლებმაც დროებით დაკარგეს შრომის უნარი.

სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზების საგზურების შესაძენად დაიხარჯება ხუთი მილიონი მანეთი.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი ითვალისწინებს სახსრების გადიდებას მუშა-მოსამსახურეთა სანეურნალო კვებისათვის. გამოუშვებენ 24-დღიან საგზურებს, რომლებშიც გათვალისწინებულია ორჯერადი კვება. ის მუშები და მოსამსახურენი, რომლებსაც ასეთი საგზურები ესაჭიროებათ, 30 მანეთიან საგზურებში გადაიხდიან ღირებულების 30 პროცენტს. საგზურების 20 პროცენტი უფასოდ განაწილდება.

წელს პიონერთა ბანაკებში დაისვენებს 50,5 ათასი ბავშვი ჯავაში, განთიადსა და სალიბაურში გაიხსნება სანატორიუმის ტიპის პიონერთა ბანაკები. ის ბავშვები, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ, აქ 45 დღეს დაჰყოფენ. მათ მოემსახურებიან სხვადასხვა სპეციალობის ექიმები. ასეთ ბანაკებში კვების ნორმა ისეთივეა, როგორც მოზრდილებისათვის.

მკურნალია ზღვის ჰავა

ბაბრა. აერარიუმის ღია ვერანდასთან ნაპირს ლოკავენ ტალღები. გაგრის ჩელიუსკინელთა სახელობის სანატორიუმის ამ აერარიუმში ზამთარ-ზაფხულ სუფთა ჰაერზე სძინავთ დამსვენებლებს. ზღვის ჰავა რომ კარგი მკურნალია, ეს დიდი ხანია დაადასტურეს პრაქტიკულად აქაურმა ექიმებმა.

აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების სამმართველოს საოლქო საბჭომ შეადგინა ავტონომიური რესპუბლიკის კურორტებზე კლიმატური მკურნალობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა. ჯანმრთელობის კერის ექიმებისა და მედიცინის დებისათვის ეწყობა ხოლმე სპეციალური სემინარი კლიმატური მკურნალობის საკითხებზე. ჩელიუსკინელთა სახელობის სანატორიუმის იმავე პლაჟზე მიმდინარე წლის ნახევარში აშენდება კლიმატური პავილიონი, რომელიც ზამთრობით გათბება, ფართოვდება ორივე აერარიუმი. აქვე წარმოებს მეორე და მეოთხე სართულების აივნების კლიმატურ ვერანდად გადაკეთება.

საერთო საკურორტო პლაჟზე აერარიუმების ნაწილი გარდაიქმნება კლიმატურ პავილიონებად, რათა დამსვენებლებმა ღამით ზღვის ნაპირას დაიძინონ.

შენდება წიგნის პალატა

საქართველოს სსრ წიგნის პალატა რესპუბლიკის დიდი დაწესებულებაა, სადაც თავმოყრილია საქართველოში დღემდე გამოცემული წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და სხვა ლიტერატურა. პალატის საცავებში არის 80 ათასზე მეტი დასახელების წიგნი. მათ შორის, მაგალითად, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი „სახარება“, რომელიც ხუცური შრიფტით დაუბეჭდიათ 1709 წელს ვახტანგ მეფის სტამბაში, წიგნები „სამოციქულო“. „კონდაკი“ და „ლოცვანი“, რომლებიც გამოცემულია 1710 წელს. აქვე ინახება „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა გამოცემის ეგზემპლარები.

საქართველოს სსრ წიგნის პალატის თანამშრომლები დიდ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას ეწევიან ბიბლიოგრაფიისა და წიგნის საქმის თეორიის დამუშავებაში. ისინი ამზადებენ და სცემენ აგრეთვე სპეციალურ საინფორმაციო ბიულეტენებს, კატალოგებსა და ყველანაირ ცნობარებს რესპუბლიკაში გამოცემული ლიტერატურის შესახებ.

ამას წინათ საბურთალოს ქუჩაზე დაიწყო წიგნის პალატის ახალი შენობის აგება. შენობის პროექტი შეიმუშავეს საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებმა. ხუროთმოძღვრები შეეცადნენ მაქსიმალურად შეემსუბუქებინათ პალატის მუშაკთა შრომა. მათ მოხერხებულად განალაგეს ფოტოლაბორატორიები, სარესტავრაციო და საკაზმავი სახელოსნოები, წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების დახარისხებისა და ტრანსპორტირების მექანიზებული ხაზები. წიგნსაცავის სათავსებში იქნება მიკროკლიმატი. მძლავრი კონდიციონერები ოთახებში გარკვეულ ტემპერატურასა და ტენიანობას შექმნიან. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდება უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნას ბეჭდვითი პროდუქციის დასაცავად.

მუშებს უმაღლესი განათლება

ტყიბული. საღამოობით ქალაქის ქუჩებში წიგნებით ხელში დაინახავთ ახალგაზრდა მუშებს. ისინი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები არიან. კვირაში 4 დღეს წარმოებას მოუწყვეტლივ სამასზე მეტი ახალგაზრდა მუშა ისმენს ლექციებს.

ოთხასზე მეტი ახალგაზრდა მუშა ქუთაისში სამთო ტექნიკუმში სწავლობს წარმოებას მოუწყვეტლივ.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ გმირი გიორგი საყაძე, ისე როგორც ყველა ქართველი რაინდი, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ტრადიციებზე იყო აღზრდილი. იგი ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ამ გმირთა სახელებს. თავის უფროს ვაჟიშვილს გენიალური პოემის ერთი მთავარი გმირის ავთანდილის სახელი დაარქვა.

გიორგი საყაძე, აკაკი წერეთლის თქმის არ იყოს, ხორცშესხმული ტარიელი იყო. ამიტომ გასაკვირიც არ იქნებოდა, თუ იგი თავის მოქმედებასა და ბრძოლებში რუსთაველის გმირებს მიჰბაძავდა.

აი, ამის ერთი მაგალითი.

ცნობილია, რომ ავთანდილი თავის გმირ მეგობრებს ტარიელსა და ნურადინ-ფრიდონს ქაჯეთზე იერიშის წინ ასეთ რჩევას აძლევს: უმტკიცესი ციხე-სიმაგრის გატეხა პირდაპირი მისვლით შეუძლებელია, ამიტომ ხერხი უნდა ვიხმაროთო. სჯობს თქვენ იდუმალ ადგილას დადგეთ. ციხის მცველნი ქალაქში მგზავრებს არ იჭერენ. მე სავაჭროდ მოვიკაზმები. ჯორს ფარულად მუზარადს, ჯაჭვსა და ხმალს გადავკიდებ და ასე შევალ ციხე-სიმაგრეში. მალვით აბჯარს ჩავიცვამ, კლიტეთ დავლეწ და მცველებს ამოვხოცავ, ამ დროს თქვენც დაეცით ციხეს და გამარჯვება ხელთ გვექნებაო.

ეს თაობირი და გამორჩევა გამოიყენა გიორგი საყაძემ, როცა თურქეთში სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვარზე გატეხა არაბთა ერთი ტომის სოხასტების შეუვალად წოდებული ციხე-სიმაგრე, რომლის აღება, როგორც ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, ოსმალთა ვერც ერთმა სარდალმა ვერ შეძლო. თურქეთის სულთანმა მურად მეოთხემ მეციხოვნეთა დამორჩილება საყაძეს მიანდო.

ადგილ-გარემოს გაცნობისას გიორგი დარწმუნდა, რომ პირდაპირი იერიშით არაფერი გამოვიდოდა. ამიტომ სამხედრო თათბირზე, რომელშიც ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, იასე ქსნის ერისთავი, გიორგი ბარათაშვილი, ავთანდილ საყაძე და სხვები ესწრებოდნენ, გიორგიმ „ვეფხისტყაოსნიდან“ ავთანდილის თათბირი წაიკითხა და მოითხოვა ეს ტაქტიკა მიეღოთ. თათბირის მონაწილენი დათანხმდნენ.

მალე გიორგი საყაძემ ვაჭრის ტანსაცმელი გადაიცვა, ასევე ვაჭრულად მოკაზმა მებრძოლთა გუნდი და მიადგნენ სოხასტების ციხე-ქალაქს. მცველებს ეჭვი არ შეჰპარვიათ და კარი გაახსნეს. ქართველებმა კი ბრძოლა არ დაიწყეს, ნიშანს დაელოდნენ. მეგობრებმა სოხასტელებთან ვაჭრობა გააჩაღეს, თან მიდამოები დაზვერეს.

სულ მალე სულთნის მეგზური მოვიდა და გიორგის იდუმალი სიტყვა გადასცა. „ვაჭართა“ გუნდმა შეუტია მეციხოვნეებს, გაჟლიტა ისინი და ციხის კარი გააღო. მაშველმა რაზმებმა ციხე აიღეს.

ასე გამოიყენა შოთა რუსთაველის გმირის ავთანდილის თათბირი გიორგი საყაძემ შორეული ანატოლიის საზღვარზე სოხასტების ციხე-სიმაგრის ასაღებად და სასტიკ ბრძოლაში ბრწყინვალედაც გაიმარჯვა.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მუშაობა დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს VI სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

სამი დღის განმავლობაში მოისმინეს 30-ზე მეტი მოხსენება რუსთაველის შემოქმედებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ თვალსაჩინო მეცნიერები — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გ. წერეთელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. ჩიქობავა, ა. ბარამიძე, ა. ბოჭორიშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, პროფესორები ა. ღლონტი, ჭ. სიხარულიძე, ს. კაკაბაძე და სხვები.

გაზეთ „სამშობლოს ხმის კორესპონდენტთან საუბარში პროფესორმა მ. ჩიქოვანმა თქვა:

პოეტის იუბილესთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერთა დღისწესრიგში დგას საკითხები, რომლებიც შეეხება რუსთაველის შემოქმედების საწყისების, ფოლკლორზე მისი პოეზიის გავლენის შესწავლას. ეს საკითხები გაშუქეს კონფერენციის მოხსენებებში. ახლა ქართველი ფოლკლორისტები ფართოდ სწავლობენ რუსთაველოლოგიურ ფოლკლორს: პოეტის ხალხურ ბიოგრაფიას, საგმირო თქმულებებს, სამიჯნურო პოეზიას, შაირს რუსთაველთან და ხალხურ პოეზიაში, პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ვარიანტებსა და სხვ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. გასულ წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროს ეწვია 60 დელეგაცია. ესენი იყვნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ჩელიაბინსკის, მაგნიტოგორსკის, დონეცკის, მაკეევკის, სუმგაითისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მეტალურგები. მილსაგლინავი წარმოების გასაცნობად აქ ჩამოვიდნენ ბულგარელი, პოლონელი, რუმინელი, ჩეხოსლოვაკელი მეტალურგები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტები, ინდოეთის, კუბის, იტალიის, შვეციის წარმომადგენლები. ყველას აინტერესებს, თუ როგორ მიაღწიეს რუსთაველებმა მოწყობილობის უმაღლეს მწარმოებლობას, რა გზით შეძლეს მილსაგლინავი დგანის „400“ სრული ავტომატიზაცია.

სტუმრებს განსაკუთრებით აინტერესებთ სამართულის ცვლის კომპლექსური ავტომატიზაცია, გამკერი დგანების მუშაობა უცვლელ სამართულებში, ვალცებში დადუღების გამოყენება. ამჟამად საამქროში წარმოებს ყველა ჩარხისა და მექანიზმის მოდერნიზაცია, ამონტაჟებენ კონვეიერულ ხაზებს, ნერგავენ მუშაობის მოწინავე ხერხებს. ამის შედეგად საამქრომ შრომის ნაყოფიერებით ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამდეგს შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიჯნას მიაღწია. შესრულებულია მილების გამოშვების შვიდწლიანი დავალებაც.

ქართველი მილმგლინავები სტუმრებს აცნობენ თავიანთ მიღწევებს, აძლევენ ავრეგატების კომპლექსური ავტომატიზაციის ნახაზებს.

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ დედაქალაქის 600 ათასზე მეტმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა შარშან ექსკურსიებში, რომლებიც საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თბილისის საექსკურსიო ბიურომ მოაწყო. ექსკურსიები მოეწყო 100 მარშრუტით. პოპულარული გახდა ექსკურსიები რუსთავისა და ქუთაისის დიდი ქიმიის საწარმოებში, სხვა დიდ სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე.

ათეულ ათასობით ექსკურსანტი ეწვია გამოქვაბულ ქალაქ ვარძიას, საქართველოს ყოფილ დედაქალაქ მცხეთას, იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით, შავი ზღვის სანაპიროზე.

სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენენ მშრომელნი ტურისტული მატარებლებით მოგზაურობისადმი. გასულ წელს თბილისის საექსკურსიო ბიურომ ტურისტული მატარებლები გაგზავნა მარშრუტებით: თბილისი-კიევი-მინსკი-ვილნიუსი; კაუნასი-რიგა-ტალინი; ლენინგრადი-მოსკოვი და თბილისი-ბაქო-ერევანი.

წელს საექსკურსიო ბიურო აფართოებს საქმიანობას. იგი მოემსახურება 100 ათასით მეტ ტურისტს, ვიდრე შარშან. მასობრივი ექსკურსიებისათვის გამოიყენებენ მატარებლებს, ავტობუსებს, თვითმფრინავებს, თბომავლებს.

შემუშავებულია ახალი საექსკურსიო მარშრუტები რესპუბლიკის თვალწარმტაც ადგილებში, რომლებიც მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ექსკურსანტთათვის მოეწყობა ერთი, ორი და სამდღიანი ტურისტული ლაშქრობანი თბილისის გარეუბნებში, მასობრივი გასეირნებანი, 75 ექსკურსიამძღოლ-ისტორიკოსი, ფილოლოგი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი მოემსახურება ექსკურსანტებს.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს გამომცემლობისა და პროპაგანდის სექციამ მოამზადა მთელი რიგი მეგზურები, ალბომები, ბუკლეტები და ფერადი პლაკატები, რომლებიც გასულ წელს საქართველოს გამომცემლობებმა 352 ათასი ტირაჟით გამოუშვეს.

ახლახან დაიბეჭდა ალბომი „საქართველო“, რომელშიც რესპუბლიკის ლამაზი ხედებია, ბუკლეტ - კონვერტები „თბილისი“, „ბათუმი“, „სოხუმი“, ქუთაისი-წყალტუბო“ და „გაგრა“ ამ ქალაქების ფერად-ფერადი ფოტოსურათებით.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა ლამაზი პლაკატები „თბილისი“, „ყაზბეგი“, „რიწის ტბა“ და „ვარძია“. რუკა-სქემა „თბილისი“, ბუკლეტები „რუსთავი“, „ბორჯომი“, „მცხეთა“, „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო“.

წელს ტურიზმის მოყვარულები მიიღებენ ბუკლეტ - კონვერტებს „ქახეთი“, „საქართველოს სამხედრო გზა“, ბუკლეტებს ფერადი ფოტოსურათებითა და სქემებით „საქართველო“ (ტურისტული მარშრუტები), „თბილისი“, „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო“ და სხვ.

ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში მწყობრში ჩადგა რაბდოპიტის—პლასტმასის წარმოების ნედლეულის საამქრო. ეს საამქრო პირველია საბჭოთა კავშირში. რაბდოპიტს იღებენ ტყიბულის ქვანახშირისაგან იმ ტექნოლოგიით, რომელიც ქარხნის სპეციალისტებმა შეიმუშავეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტთან ერთად.

საამქრო წელიწადში ასობით ტონა ფხვნილს გამოუშვებს. რაბდოპიტის პირველი პარტია უკვე გაეგზავნა თბილისის პლასტმასის ქარხანას.

ᲙᲣᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ


ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ კუბაში გაგზავნა დიზელძრავიანი მძლავრი წყალსატუმბების უკანასკნელი პარტია.


ქარხნის კოლექტივმა კუბელთა შეკვეთით დაამზადა 103 დიზელძრავიანი მძლავრი წყალსატუმბი.






სურათებზე: ზემოთ, მარცხნივ — სადგური „რუსთაველის მოედანი“; მარჯვნივ — ბარელიეფი ამავე სადგურში („ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე); ქვემოთ — მიწისზედა სადგური „დიდუბე“.






სურათებზე: მარცხნივ — მიწისზედა სადგურ „ელექტროდეპოს“ ვესტიბიული; მარცხნივ — კოტე მარჯანიშვილის ბარელიეფი სადგურში „მარჯანიშვილის მოედანი“; ქვემოთ — მატარებელი წავიდა!







თბილისის მეტროპოლიტენი

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდან დაიწყო მუშათა საქართველოს დედაქალაქის საკომუნიკაციო მეურნეობის გარდაქმნისა და პირველ რიგში მისი საქალაქო ტრანსპორტის განვითარებისათვის. სამუშაოები წლითიწლობით იზრდებოდა და ფართოვდებოდა. უკვე დიდი ხანია ქალაქის ქუჩებში მძლავრობენ ავტობუსებისა და ტროლეიბუსების ქარავნები, ზარის მხიარული წკრიალით მიჰქრიან ტრამვაის მატარებლები ახალ სამრეწველო რაიონებში. თბილისის ცაში საჰაერო-საბაგირო გზების ხაზები ბრჭყვიალებენ.

და მაინც თბილისი განსაკუთრებით ადრევე განიცდიდა საქალაქო ტრანსპორტის ყველა ამ სახეობის ნაკლებობას. ქალაქი ზღაპრულად გაიზარდა.

მაგრამ ახლა სხვა დროა! 1966 წლის 11 იანვრიდან თბილისში პირველხარისხოვანი მეტროპოლიტენი ამუშავდა. ეს საბჭოთა კავშირში მეოთხე მეტროპოლიტენია. ხოლო იმ დროისათვის, როცა 30 წლის წინათ მოსკოვში გაყვანილ იქნა მეტროს პირველი ხაზი, მსოფლიოში უკვე არსებობდა 23 ასეთი მიწისქვეშა მაგისტრალი. მაგრამ მოსკოვის მეტროც, ლენინგრადისა და კიევის მეტროც და მათი ყველაზე ახალგაზრდა თანამოძმე — თბილისის მეტროპოლიტენიც ყველაზე მოხერხებულია მგზავრებისათვის და ნამდვილად ესთეტიკური სიამოვნება მოაქვს მათთვის.

დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის პირველი უბნის ექსპლოატაცია. ეს არის 6,3 კილომეტრი სიგრძის ტრასა, რომელსაც მეტროპოლიტენის მატარებლები ათ წუთზე ნაკლებ ხანში გადიან. შექმნილია ექვსი სადგური: ორი მიწისზედა — „დიდუბე“ და „ელვა-როდეპო“, დანარჩენი ოთხი კი ღრმად მიწის ქვეშ — „ოქტომბრის“, „ვაგზლის მოედანი“, „მარჯანიშვილის მოედანი“ და „რუსთაველის მოედანი“. თვითეული მათგანი თავისი მხატვრული სახე და თავისი ტექნიკური თავისებურებები აქვს. მაგალითად, სადგური „რუსთაველის მოედნის“ გაფორმება ექვემდებარება მთავარ იდეას — „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედების უკვდავ დიდებას.

შესანიშნავად იშრომეს მთელ ტრასაზე დამპროექტებლებმა, არქიტექტორებმა, მშენებლებმა. განსორციელებულ სამუშაოთა გაქანებაზე მეტყველებს ასეთი ციფრები: ამოღებულია 700 ათას კუბურ მეტრზე მეტი გრუნტი, ჩაწყობილია მეოთხედი მილიონი კუბური მეტრი ბეტონი დარკინაბეტონი. გვირაბგაყვანის ყველაზე სრულყოფილი ტექნიკა ბატონობს თბილისის მიწის წიაღში. სამამულო მეტრომშენებლობის პრაქტიკაში პირველად იქნა გამოყენებული მექანიზებული ფარი ბეტონის უნაწიბურო შემოპირვით. მშენებლებს გამოვლილი გმირობა გამოიჩინეს, სძლიეს აგრესიულ წყლებს, ისწავლეს კლდეებში ნაკაბის გაყვანა, მტკვრის ქვის კალაპოტის ქვეშ გავლა. ამაში მათ დაეხმარნენ ლენინგრადელები, კიეველები: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავისა არ დამრიდად“, — როგორც შესანიშნავად აქვს ნათქვამი შოთა რუსთაველს.

თბილისში — განვითარებული თანამედროვე ინდუსტრიისა და მოწინავე კულტურის ქალაქში, რომლის მოსახლეობა მალე უახლოვდება ერთ მილიონს, ახლა გაჩნდა მშრომელთა ახალი რაზმი — მეტროპოლიტენელები.

მარჯვედ მიჰყავთ მემანქანეებს სადა მატარებლები თბილისის მიწის ღრმა წიაღში, ზუსტად და შეთანხმებულად მუშაობენ მეტროპოლიტენის მთელი პერსონალი.

დასამახსოვრებელი იყო 1965 წლის 7 ნოემბრის ღამე. პირველად გაცოცხლდა მეტროპოლიტენის ელექტრული ბუნება. პირველი მატარებელი პირველ რეისში გაემგზავრა. პირველი მგზავრები იყვნენ ის მშენებლები, ვინც ეს ტრასა შექმნა, — მშენებლები. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და მხურვალედ ულოცავდნენ წარმატებას. მატარებელი კი მიდიოდა და მიდიოდა, სადგურიდან სადგურამდე, გადიოდა წიაღს, მიდიოდა მტკვრის ქვეშ...

დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენს ქვეშა ელექტრომატარებლების ვაგონები. ისინი კონსტრუირებულია და დამზადებულია მიტიშჩის მანქანათასამშენებლო ქარხანაში. მათ მშენებლობაში ფართოდ გამოყენებულია თანამედროვე სინთეზური მასალები. თბილისში ისინი „თავისი“ ჩამოვიდნენ, ორი ათასზე მეტი კილომეტრი გამოიარეს. ჯერ მიღებულ იქნა შვიდი ვაგონი, შემდეგ, 1965 წლის ბოლოსთვის — თორმეტი, ხოლო 1966 წლის პირველ ნახევარში მიტიშჩელები კიდევ 5 ვაგონს გამოგზავნიან.

სამგზავრონიან მატარებლებს უკვე ინდივიდუალური ტექნიკური ბაზა, თავიანთი დეპო. მეტროპოლიტენის სამმართველოსა და მისთვის საჭირო ყველა სამსახურები. შეიქმნა ახალგაზრდა კადრებით. ადგილები სიხარულით მიდიან მიწისქვეშა ტრასაზე სამუშაოდ — ქალაქის ახალი და კომპავშირული ორგანიზაციის მიმართულებით. ათასობით თბილისელი ახალგაზრდა მშენებლობაში; ისინი სამუშაოდ გადაიდნენ მთელი კოლექტივებით მათგანი ექსპლოატაციაზე სამუშაოდ წავიდა, გახდა სადგურის მორიგე ელექტრიკოსი, მეკავშირე, კონტროლიორი.


თბილისის მეტრო მთელი ჩვენი ხალხის დახმარებითა და მხარდაჭერით სარგებლობს. მის დაკვეთებს ასრულებდნენ ქვეყნის სამასამდე საწარმო, მათ შორის თბილისისა და მთელი საქართველოს საწარმოები.

საბჭოთა წარმოების უახლესი ხელსაწყოები და მოწყობილობა უზრუნველყოფს ტრანსპორტის და მოძრაობის უსაშიშროებას დონეს.


თბილისი კვლავ იზრდება. შენდება საწარმოო კორპუსები, საცხოვრებელი კვარტალები. ქალაქი მტკვრის გაყოლებით 20 კილომეტრზე მეტ მანძილზე გაიჭიმა. ახლა მასთან ერთად იზრდება მეტროს ხაზების სიგრძეც — 1967 წელს იგი 1,7-ჯერ გადიდდება.

თბილისის მიწისქვეშა ტრასის პირველი უკვე მუშაობს. მეტროს მშენებლობა გრძელდება. მსოფლიოს ერთ-ერთ უძველესმა ქალაქმა — 1500 წლის თბილისმა, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქმა — შესანიშნავი საჩუქარი მიიღო.

კმაყოფილი იყოს თქვენი მშრომელი თბილისის მეტროში!



სურათებზე: ზემოთ — სადგური „ოქტომბერი“, ზედა ვესტიბიული; ქვემოთ, მარჯვნივ — სადგური „მარჯანიშვილის მოედანი“, მარცხნივ — სადგური „ვაგზლის მოედანი“, ზედა ვესტიბიული.










სურათებზე: ზემოთ — ესკალატორი სადგურში „რუსთაველის მოედანი“; მარცხნივ — ბარელიეფი სადგურში „ოქტომბერი“; მარჯვნივ — პირველი მგზავრები.



მოსავალი რომ გაიზარდოს

გასული წელი მეჩაიეებისათვის მძიმე გამოდგა. ფოთლის კრეფა ერთი თვით შეგვიანდა, ზაფხულში კი გვალვამ შეაფერხა ბუჩქის ვეგეტაცია. მიუხედავად ამ სიძნელეებისა ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა წარმატებით შესრულდა. მეჩაიეებს ბევრად დაეხმარნენ მეცნიერები.

ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მუშაკები დიდხანს მუშაობდნენ ჩაის პლანტაციებში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დადგენილ ვადებში შეჰქონდათ სასუქები იმ დოზით, რომელიც მეცნიერებმა ჩვიმუშავეს. დიდი საწარმოო ეფექტი ჰქონდა ფოსფორიანი მჟავე სასუქების შეტანას. წითელმიწა ნიადაგებზე პლანტაციების მოსავლიანობა თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა. ბევრი მეურნეობა წარმატებით ებრძოდა გვალვას. ეს მხოლოდ ხელოვნური მორწყვით კი არ ხდებოდა, არამედ იყენებდნენ ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ მეთოდებს: სიდერატების თესვას, ნიადაგის დამულჩვას მცენარეულობითა და ტორფის კომპოსტით, რის შედეგადაც ნიადაგში შეინარჩუნეს ტენი.

ინსტიტუტის საცდელი პლანტაციები, რომლებიც ჩაის წარმოების ცენტრალონია, და სადაც ჰექტარზე საშუალოდ 8–9 ათას კილოგრამ ჩაის კრეფენ, ბევრმა ბრიგადირმა და მერგოლეურმა დაათვალიერა. აქ ისინი გაეცნენ ბუჩქების მოვლის პროგრესულ ხერხებს, ფოთლის კრეფის წესებს. სემინარებზე, რომლებიც ინსტიტუტმა მოაწყო, ჩაის მოვლა-მოყვანის მოწინავე მეთოდებს ასწავლიდნენ რამდენიმე ათას ახალგაზრდა კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობის მუშას.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მიზანშეწონილი არ არის ფერდობების დატერასება ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების დროს, რაც ბევრ დროს მოითხოვს და მეურნეობას ძლიერ ძვირი უჯდება. მეტად კარგი გამოდგა მეცნიერთა მიერ რეკომენდებული ფერდობის მთლიანი ღრმად დამუშავება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად იზრდება ნიადაგის წყალგაუმტარობა და ფერდობზე ბუჩქების შპალერულად დარგვა. ამ ხერხის გამოყენება იწვევს თვით დატერასებას, უზრუნველყოფს უხვმოსავლიანი პლანტაციების შექმნას და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თავიდან გვაცილებს ეროზიას. ინსტიტუტმა შეიმუშავა აგრომელიორაციული და აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ეწვრი ნიადაგის გამოყენება ჩაის კულტურისათვის. ასეთ ნიადაგებზე ჩაის პლანტაციები უხვ მოსავალს იძლევა.

საქართველოს მეჩაიენი ყოველწლიურად მოკრეფენ 200 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. თუმცა ჩაის საკრეფი მანქანების საქართველოს“ გამოყენება პლანტაციებში ფართოვდება, მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფა უახლოეს დროში ძირითადად ხელით განხორციელდება.

დასავლეთ საქართველოს ხუთი მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლის დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ რაიონებში ფოთლის კრეფის დროს საშუალოდ მოდის სულ ცოტა 30 წვიმიანი დღე. მოსული ნალექების სიუხვე და ჰაერის დიდი ტენიანობა აძნელებს მკრეფავთა მუშაობას. თითქმის ყოველდღე პლანტაციებში უხვად არის ნამი. ჩაის მკრეფავები სველდებიან ხოლმე. ეს საშიშია მკრეფავთა ჯანმრთელობისათვის და თითქმის ნახევარჯერ ამცირებს შრომის ნაყოფიერებას.

მეცნიერები მუშაობენ იმისათვის, რომ შექმნან წყალგაუმტარი კოსტუმები ჩაის პლანტაციათა მუშაკებისათვის. თბილისის საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ამ პრობლემაზე მუშაობს აბრეშუმის ქსოვის ლაბორატორია, რომელსაც ინჟინერი დ. მიქელაძე ხელმძღვანელობს. ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს წყალგაუმტარი კოსტუმები და მთლიანად იცავენ მუშებს ეკლებისაგან. სანამ ასეთი ბამბანარევი კაპარონის სპეციალურ ტანსაცმელს დაამზადებდნენ, მეცნიერებმა ექსპერიმენტები მოაწყეს 13 სხვადასხვა სახეობის ქსოვილზე.

კოსტუმებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა ოჩხამურისა და ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. ისინი მოიწონეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ და საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა. უკვე დაიწყო ასეთი კოსტუმის მასობრივი გამოშვება.

თუ კარგ ამინდში საშუალოდ იკრიფება 1.200 ტონა ჩაი დღეში, წვიმიან დღეებში კრეფა მცირდება 600 ტონამდე. ამრიგად, წლის განმავლობაში თუ 30 წვიმიანი დღეა, ვერ იკრიფება დაახლოებით 18 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. იმით, რომ ჩაის პლანტაციათა ყველა მუშაკს უზრუნველყოფენ სპეციალური კოსტუმებით, დამატებით მიიღებენ დაახლოებით 18 ათას ტონა მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

დრეკადობის თეორია ახალი კუთხით

დრეკადობის თეორიის ახალი ვარიანტი შეიმუშავა ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ. თეორიის ახალი ვარიანტი საშუალებას იძლევა უფრო ზუსტი მეთოდით გადაწყდეს მექანიკის მნიშვნელოვანი ამოცანები — თხელკედლიან ნაგებობათა გადასახურავების, კაშხალების, საოკეანო გემების კორპუსების, საჰაერო ლაინერებისა და სხვათა გაანგარიშება.

დრეკადობის თეორიის კლასიკური განტოლებებით ნაგებობათა ზუსტი გაანგარიშება გადაულახავ სიძნელეებს აწყდება მათემატიკურ განტოლებათა სირთულის გამო. ხოლო ცნობილი ხერხები, რომლებიც რთული ფორმულების გამარტივების საშუალებას იძლევიან, ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ყველა ფიზიკურ პირობას კონსტრუქციის ზუსტი გაანგარიშებისათვის.

ი. ვეკუამ შეისწავლა მათემატიკურ განტოლებებსა და ფიზიკურ პირობებს შორის არსებული განსხვავებანი, რომლებიც სხეულის საზღვრის გასწვრივ წარმოიქმნება. სწორედ მათზეა დამოკიდებული გარსების — გადასახურავების ზედაპირის დეფორმაციის სპეციფიკური ხასიათი. მათემატიკოსი 15 წელიწადს იკვლევდა ამ პრობლემას და ახლებურად გადაჭრა იგი.

მეცნიერმა შეიმუშავა უთანაბრო სისქის, ეგრეთწოდებული პრიზმატული გარსების გაანგარიშების ხერხი. ვეკუამ შესძლო ეს თეორია ყოველნაირი მოხაზულობის ზედაპირებზე გაევრცელებინა. აკადემიკოს ი. ვეკუას მიერ მიღებული მათემატიკური განტოლებანი სავსებით არის შეთანხმებული ბუნებრივ პირობებთან, რომლებიც გარსის კიდეებზე წარმოიქმნება.

ახალი თეორია განტოლებათა გამოყვანისას არ სარგებლობს საყოველთაოდ მიღებული კლასიკური ჰიპოთეზებით, რომლებიც ზედაპირს (გარსს) რეალურად არარსებულ თვისებებს ანიჭებენ. მაგრამ აკადემიკოს ი. ვეკუას ვარიანტს დიდი მსგავსება აქვს დრეკადობის თეორიის ეგრეთწოდებული ბრტყელი ამოცანის ცნობილ კლასიკურ განტოლებებთან. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამით მეცნიერებს შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს ბევრი მეთოდი და შედეგები, რაც აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა შეიმუშავა დრეკადობის თეორიის დარგის შრომებში.

ქართველ ფიზიკოსთა საერთაშორისო ურთიერთობა

„ძვირფასო პროფესორო ანდრონიკაშვილო! თქვენი და პროფესორ წაქაძის ერთობლივი ექსპერიმენტების შედეგები მბრუნავი ჰელიუმ II-ის სიმკვრივის ცვლილების საკითხებში, უაღრესად საინტერესო და სრულიად მოულოდნელია. ესოდენ მცირე ეფექტების დაკვირვება თქვენი შესანიშნავი ექსპერიმენტული მეთოდის დიდი მიღწევაა. რამდენიმე ხნის მანძილზე ვფიქრობდი თქვენს შედეგებზე და შევქმენი მარტივი მოდელი, რომელიც მე მგონი, კარგად ეთანხმება თქვენს შედეგებს“.

ასეთი წერილი მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. ანდრონიკაშვილმა** თვალსაჩინო გერმანელი მეცნიერის, მიუნხენის უმაღლესი ტექნიკური სკოლის პროფესორის **პაულ კრეგისაგან.**

წლითიწლობით იზრდება ქართველ ფიზიკოსთა სამეცნიერო ურთიერთობა საზღვარგარეთის მეცნიერებთან. მარტო 1965 წელს ინსტიტუტში იყვნენ ათობით ქვეყნის — უნგრეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჰოლანდიის, ბელგიის, კანადის, იაპონიის, შვეიცარიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფიზიკოსები. უცხოელი მეცნიერები ეცნობოდნენ ინსტიტუტის საქმიანობას, წაიკითხეს მოხსენებანი მკვრივი სხეულის ფიზიკის, ბირთვული ფიზიკის, ბიოფიზიკისა და სხვა დარგებში უახლეს გამოკვლევათა შესახებ.

შარშან ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ცხრა საერთაშორისო კონფერენციაში, რომლებიც გაიმართა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, ინგლისში, უნგრეთში, კანადასა და სხვა ქვეყნებში. ქართველ მეცნიერთა მოხსენებანი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა.

აზრთა ურთიერთგაზიარება, მეცნიერული დისკუსიები ფიზიკის სხვადასხვა პრობლემის შესახებ, ფართო თანამშრომლობა ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა დაახლოებას, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ახალი მეცნიერული ჭეშმარიტებანი. ამას წინათ პროფესორ ვაისკოპფის მიწვევით ერთი წლით ჟენევაში — ევროპის ატომური კვლევის ცენტრში გაემგზავრა ინსტიტუტის თანამშრომელი **გ. ჩიქოვანი.** კემბრიჯის უნივერსიტეტში დოქტორ მედოკთან ათი თვის სტაჟს გადის ახალგაზრდა მეცნიერი **ვ. ბარნოვი.**

საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტში სტაჟს გადიოდა ფრანგი მეცნიერი ალან ბერტრანი. ინდოელ სტაჟიორთა ჯგუფმა მოისმინა ლექციები ფიზიკის ინსტიტუტის რეაქტორში. უნგრელი პეტრე ზავადსკი ორი კვირის მანძილზე ეცნობოდა მიკროკალორიმეტრიის **მეთოდს** მაღალმოლეკულურ შეხაერთთა განყოფილებაში.

საზღვარგარეთ ფართოდ არის ცნობილი ქართველ მეცნიერების მოღვაწეთა გამოკვლევანი. მაგალითად, ინგლისელ მეცნიერთა ნაშრომში „ფოტოგრაფიის მეთოდით ელემენტარული ნაწილაკების შესწავლა“ მოყვანილია მონაცემები, რომლებიც მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ეგრეთწოდებული უცნაური ნაწილაკების ინერციის შესწავლის დროს, ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსის გოლბრაიტის მონოგრაფიაში დაწვრილებით არის გამუქებული **ე. ანდრონიკაშვილის, მ. ბიბილაშვილისა და ი. საყვარელიძის** მუშაობის შედეგები, რომლებიც მიეძღვნა განიერი ღვარების შემღწევი კომპონენტების შესწავლას. ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა 32 ნაშრომი გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, გერმანიაში, კანადაში, იტალიაში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა კვლევის შედეგები იგზავნება სხვადასხვა ქვეყნის 53 ქალაქში.

საქართველოს ვეგეტაბრები

ნატიფი სახის ნაკვთებიანი ტანწერწეტა ქართველი ქალი სივრცეს გასცქერის. ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს, ფეხთან წმინდასაწმისიან ვერძს მოუკალათებია. ლამაზად არის მორთულ-მოკაზმული, მშვიდია მისი გამომეტყველება. ასეთია ასტა ბრჟეზიცკაიას ქანდაკება „საქართველო“, — მდიდარი და ბარაქიანი საბჭოთა რესპუბლიკის სიმბოლო.

დულევოს ფაიფურის ქარხნის — საბჭოთა კავშირისა და ევროპის ყველაზე დიდი ფაიფურის საწარმოს მუზეუმში საქართველოსადმი მიძღვნილი ბევრი მხატვრული ნაკეთობაა. მდიდარი ისტორია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარი შესანიშნავი გარდაქმნები, თავისთავადი ხელოვნება მხატვართა და მოქანდაკეთა ყურადღებას იპყრობს, მათი ნაწარმოებების თემა ხდება.

მუზეუმის ერთ-ერთი საუკეთესო ექსპონატია უნიკალური ჩაის სერვიზი, რომელიც ცნობილმა მხატვარმა კერამიკოსმა პეტრე ლეონოვმა მოხატა უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე. სერვიზზე გამოსახულია ეპოსის გმირები, ნადირობის სცენები ქართული მინიატურის სტილით... სერვიზის ყოველ ნაკეთობას საკუთარი ორიგინალური მოხატულობა აქვს. ჩაიდანზე შოთა რუსთაველის პორტრეტია. იგი გრავირებული მქრქალი ოქროსია, რომელსაც სიძველის იერი დაჰკრავს. მწვანე მცენარეული მოხატულობა ამშვენებს სერვიზის ფინჯნებს. რუსთაველის ეპოსი ძველიც არის, ახალგაზრდაც და თანამედროვეც— ასეთი აზრი უდევს საფუძვლად სერვიზის მოხატულობას.

ეს სერვიზი წარმოდგენილი იყო პარიზის მსოფლიო გამოფენაზე 1937 წელს და მიიღო უმაღლესი ჯილდო — გრან პრი.

შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ფაიფურისაგან შეიძლება შეიქმნას პატარა, მაგრამ საინტერესო კმპოზიცია. გამომსახველი და ლამაზია ასტა ბრჟეზიცკაიას ნამუშევარი — დიდი ქართველი მგოსნის სკულპტურული პორტრეტი. მგოსანს წიგნი დაუხურავს, კალმიანი ხელი დაუშვია, ჩაფიქრებულა...

ყურადღებას იპყრობს ნიკოლოზ პუსტიგინის ქანდაკება „შოთა რუსთაველი“. აქვე არის კედლის ორი დეკორაციული ლანგარი, რომლებიც ქარხნის უხუცეს მხატვარს ალექსანდრე პახომოვს მოუხატავს. დაბინდული მთებისა და ძველი ციხე—კოშკების ფონზე გამოსახულია პოეტის შთაგონებული სახე.

ამ ექსპოზიციაში შედის აგრეთვე მოქანდაკე პავლე კოჟინის ნამუშევარი — ფაიფურის შადრევანი. იგი ერთ დროს მოსკოვის რესტორან „არაგვის“ დარბაზისათვის შეიქმნა და დიდხანს ამშვენებდა მას. დარბაზი მოხატული იყო „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მიხედვით. ამ მოხატულობას ორგანულად ერწყმოდა ფაიფურის შადრევანი: ცენტრში, მაღალ კლდეზე ყელმოღერებული ირემი შეშინებული აცეცებს თვალებს, ოთხი მხრიდან კი გააფთრებული ვეფხვები უღრენენ. ახლა „არაგვში“ ვეღარ ნახავთ ამ შადრევანს, იგი მუზეუმში ინახება...

თითქოს გაიბობს და გეალერსება ნინო მალიშევას ქანდაკება „ქართველი დედა“, ახალგაზრდა დედას შეუწყვეტია მუშაობა, რომ ძუძუ მოაწოვოს და მიაძინოს გამოღვიძებული ბავშვი. იქვე მსხლითა და ყურძნით სავსე კალათები დგას. დაიძინებს პატარა, და დედა კვლავ მუშაობას შეუდგება...

ნინო მალიშევა სკულპტურული კომპოზიციის ცეკვა „ქართულის“ ავტორია. ეს ექსპოზიცია ჩინებულად წარმოსახავს ქართული ცეკვების თავისებურებასა და მშვენიერებას: ვაჟთა სიმკვირცხლესა და ქალთა სინარნარეს.

ფაიფურის მოხატვის ერთ-ერთ უხუცეს ოსტატს ვასილ მისიაგინს ისე ოსტატურად დაუხატავს ყურძენი, რომ გინდა მოწყვიტო და პირი ჩაიტკბარუნო.

კარადებში ოქროსფრად ელავს საქართველოს მინიატურებითა და შესანიშნავი ეროვნული ორნამენტებით მოხატული ბოკალები, რომლებიც მხატვარ თევდორე მასლოვს შეუსრულებია.

მუზეუმში არის ქართველ კერამიკოსთა ნამუშევრებიც. ბევრი მათგანი პრაქტიკაზე ყოფილა დულევოს ფაიფურის ქარხანაში. ფორმითა და მოხატულობით ყურადღებას იპყრობს დეკორაციული ვაზა, რომლის სიმაღლე მეტრნახევარს აღემატება. თეთრი, აჟურული ოქროთი მოხატული ეს ვაზა სტუდენტ ბუზარაშვილის სადიპლომო ნამუშევარია. ვაზა გაკეთებულია გამარჯვების წელს — 1945 წელს.

საქართველოს ეძღვნება რუსული ფაიფური, ისეთივე ელვარე, ნათელი, წვრილა, როგორც ეს მზიური მხარე. ზოგი ეს ნაკეთობა გამოშვებულია მასობრივი ტირაჟით, ზოგიც უნიკალურია და ექსპონირებული ყოფილა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რომლებისთვისაც გაუცვნია საქართველო და მისი ხალხი.

ბაკურიანში



მაღალმთიანი კურორტი ბაკურიანი განსაკუთრებით მიმზიდველია ზამთარში. ეს ფოტოსურათები ამ დღეებში გადაიღო ბაკურიანში გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა.



სპორტული მიმოხილვა

საოცრად თბილი დღეები იყო იანვარში. ფეხბურთის მოწყურებულმა თბილისელმა გულშემატკივრებმა, რასაკვირველია, მაქსიმალურად გამოიყენეს შესაძლებლობა დასწრებოდნენ მატჩებს. ფეხბურთი იანვარში, აშვიათი მოვლენაა. ჯერ იყო და ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი გლაზგოს „სელტიკსა“ (შოტლანდია) და კიევის „დინამოს“ შორის საქართველოს დედაქალაქში დაინიშნა და ამიტომაც კიეველებმა ორი საწვრთნელი მატჩი გამართეს თბილისის ნაკრებთან, რომელიც მთლიანად ახალგაზრდა ფეხბურთელებისაგან იყო შედგენილი.

მერე კი მთავარი მოვლენა: შეხვედრა „სელტიკსა“ და „დინამოს“ შორის. სტადიონი გაჭედილი იყო. პირველი მატჩი კიეველებმა გლაზგოში 0:3 წააგეს. მეორე მატჩის ჩატარების ადგილად კიეველებმა თბილისი აირჩიეს. ამრიგად, საბჭოთა კავშირში პირველად ევროპის თასის მფლობელთა თასის გათამაშების ოფიციალური მატჩი თბილისში გაიმართა და ქართველი გულშემატკივრები ვალში არ დარჩენილან. ისინი მხურვალედ უჭერდნენ მხარს უკრაინელ სპორტსმენებს, თუმცა მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა და „დინამო“ გამოეთიშა ასპარეზობას.

მატჩის შემდეგ უკრაინის დედაქალაქიდან მრავალი წერილი მოვიდა. გულშემატკივრები მადლობას უხდიდნენ თბილისელებს. „როდესაც ტელევიზიით ვუყურებდით მატჩს, — წერს კიეველი ინჟინერი ს. გურიოვკა, — აღფრთოვანებული ვიყავით, ტრიბუნების ასეთ მხარდაჭერას ჩვენი ბიჭები ალბათ „შინაც“ ინატრებდნენ.

მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თუმცა საბჭოთა ფეხბურთის პირველი გამოსვლა ევროპის თასის მფლობელთა თასზე წარუმატებელი იყო, მაინც სასარგებლოა, და რომ მხოლოდ ხშირი მონაწილეობა ასეთ ტურნირებში მოგვიტანს წარმატებას. გაისად ანალოგიური ტურნირში მოსკოვის „სპარტაკი“ ითამაშებს. შემდეგ კი, ვინ იცის, იქნებ თბილისის „დინამო“?

საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები უკვე შეუდგა ლონდონისათვის მზადებას და სამხრეთ ამერიკაში მართავს ამხანაგურ შეხვედრებს. გუნდის შემადგენლობაში სხვებთან ერთად არიან ა. კავაზაშვილი, ს. მეტრეველი და მ. მესხი, ავადმყოფობის გამო მ. ხურცილავა გუნდს ვერ წაჰყვა, ს. კუტივაძე და გ. სიჭინავა გუნდს შემდგომში შეუერთდებიან.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა 1966 წლის ჩემპიონატის დებულება. „ა“ კლასის პირველ ლიგაში 19 გუნდი იქნება. ქუთაისის „ტორპედო“ კვლავ გამოვა უმაღლეს ჯგუფში. „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფში ითამაშებენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“, მაშ ასე, 10 აპრილამდე, მეგობრებო. ამ დღეს აღიმართება ჩემპიონატის ალაში.

გივი ნადარეიშვილს კარგად იცნობენ საჭადრაკო წრეებში არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი საჭადრაკო კომპოზიციის ერთ-ერთი პიონერია საქართველოში და საჭადრაკო ეტიუდების რამდენიმე წიგნის ავტორიც. რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს გ. ნადარეიშვილს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში და ხშირად გამარჯვებულიც გამხდარა. ამას წინათ მან პირველი-მეორე ადგილი გაიყო გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში საჭადრაკო ეტიუდებში. ასევე პირველი-მეორე ადგილები გაიყო ქართველმა კომპოზიტორმა ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალის საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის საერთაშორისო კონკურსში.

ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი წარმატებით გამოვიდა ვაჟთა ტურნირში ჰოლანდიის ქალაქ ბევერვაიკში. ნონა ასპარეზობდა უძლიერეს ოსტატ ვაჟებთან ერთად და 6 ქულით მეექვსე ადგილზე გავიდა. პირველი ადგილი ხვდა რუმინელ ოსტატს, რომელსაც 8,5 ქულა ჰქონდა.

ყოველწლიურად თბილისის სპორტის სასახლეში თავს იყრიან სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც უკვე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ყოველთვის მაღალ დონეზე და საინტერესოდ ეწყობა.

ამჯერად რიგით მეხუთე ტურნირში მონაწილეობდა სსრ კავშირის, საქართველოს, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის, პოლონეთის, ირანის თავისუფალი სტილის 70-მდე უძლიერესი მოჭიდავე.

ტურნირში არ მონაწილეობდნენ ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე და შ. ლომიძე, სამაგიეროდ ნათლობა ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო.

სამ დღეს გრძელდებოდა ასპარეზობა და ძირითადი ბრძოლა სსრ კავშირის, ბულგარეთის და ირანის მოჭიდავეებს შორის მიმდინარეობდა. პირველი ადგილებიც სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა გაიყვეს. აი გამარჯვებულებიც წონითი კატეგორიების მიხედვით: უ. პურასტულა (ირანი), გ. გოგიჩაიშვილი, ს. ქარსაულიძე, ნ. სოხაშვილი, ი. შახმურადოვი, ა. ცხოვრებოვი, კ. ლიივა (სსრ კავშირი), ვ. კისტოვი (ბულგარეთი).

წარუმატებლად დაიწყეს პირველი წრის დასკვნითი ეტაპი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა. სპეციალისტები ამას იმით ხსნიან, რომ გუნდში არ არის ცენტრი. ეს კი თანამედროვე კალათბურთისათვის აუცილებელი პირობაა. სამაგიეროდ წარმატებით იბრძვიან ქალები. პირველი წრის შემდეგ ისინი მეორე ადგილზე არიან და ერთი ქულით ჩამორჩებიან რიგის ტტტ-ს. ერთადერთი დამარცხება ლიდერს სწორედ საქართველოს „პოლიტექნიკოსმა“ მიაყენა.

მას შემდეგ, რაც სარბიელი დატოვეს ლ. სანაძემ, ნ. დუმბაძემ, ე. გოკიელმა, ნ. დვალიშვილმა, რ. შავლაყაძემ, ჩვენი მძლეოსნები არ გვანებივრებენ მაღალი შედეგებით. და აი რამდენიმე დღის წინათ ლენინგრადის სპორტის სასახლეში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა მერაბ ოყროშიძემ, რომელმაც ბირთვის კვრაში პირველი ადგილი დაიკავა (17,41 მ.).

მერაბ ოყროშიძე ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია და მომავალი ოლიმპიური ასპარეზობისათვის ემზადება.

ო. ლორთქიფანიძე.

დაგეძებენ, მოგელიან



სამხარაძეს ლევან სიმონის ძეს, დაბადებულს 1916 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში, ეძებს და — გალინა სიმონის ასული სამხარაძე, მცხოვრები თბილისში, კრილოვის ქ. № 10.

გაჩეჩილაძეს მირიან ოვნისიმეს ძეს, დაბადებულს 1920 წელს დაბა შორაპანში (ზესტაფონის რაიონი), ეძებს დედა — ვერა ვასილის ასული გაჩეჩილაძე, მცხოვრები დაბა შორაპანში, გაჩნაძის ქ. № 48.

* * *

სურათზე: ლ. სამხარაძე.

ჭიანჭრთელობის სასახლეები გამოქვაბულებში

სოხუმი. წაბლნარებსა და მუხნარებში ჩაფლულა ტურბაზის, დასასვენებელი სახლების, სასტუმროებისა და პანსიონატების ქოჩათა კორპუსები. კვიპაროსებისა და პალმების ხეივნებში დგას ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით ერთადერთი სამეცნიერო-საკვლევი სპელეო-სამედიცინო ინსტიტუტისა და სანატორიუმ „აბრსკილის“ მრავალსართულიანი შენობა, აქედან ასფალტირებული გზები მიდის ოტაპის მთის ძირისაკენ, რომლის წიალში აბრსკილის სტალაქტიტოვანი გამოქვაბულის მიწისქვეშა ლაბირინტებია. და თუმცა ჯანმრთელობის ეს ქალაქი ჯერ არ არის საქართველოს რუკაზე, იგი ასე წარმოუდგენიათ მის დამპროექტებლებს.

სპელეოლოგებმა დიდი ხანია შეიყვარეს აბრსკილის ეს ლეგენდებით გარემოცული გამოქვაბული. ამ ბოლო წლების მანძილზე მიწისქვეშა ტურიზმის ასობით მოყვარული უკვე იყო ამ გამოქვაბულში. მაგრამ აი, ამას წინათ აქ კვლავ მოვიდნენ სპელეოლოგები. მათ გულდასმით გამოიკვლიეს უნიკალური გამოქვაბული და დაადასტურეს მედიკ მეცნიერთა აზრი, რომ მასში შეიძლება შეიქმნას მიწისქვეშა ჯანმრთელობის კერები.

ფოსფორული სინათლით ციმციმებენ წუვდიადში კარსტული გამოქვაბულის გიგანტური ციხე-დარბაზებისა და სასახლეების სტალაქტიტოვანი სვეტები. შორეულ კუთხეებში, სადაც მოწანწკარებენ პატარა ნაკადულები, გამოქვაბულის მარგალიტები მიმოფანტულა.

ქვესკნელის ამ ვრცელ დარბაზებში ზამთარ-ზაფხულ ისეთივე ჰაერია, როგორც ფიჭვნარში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნახშირბადის იზოტოპები, რომლებიც დედამიწის ზედაპირიდან ჩამოუოწილ წყალს ჩააქვს, აითნებენ გამოქვაბულის ატმოსფეროს და ამის შედეგად იგი ემსგავსება წიწვოვანი ტყეებისა და ალპური მდელოების სამკურნალო ჰაერს. ამიტომ მეცნიერებმა წინადადება წამოაყენეს, რომ აბრსკილის ციხე-დარბაზები იქცეს თავისებურ საპროცედურო კაბინეტებად ფილტვებითა და გულით ავადმყოფთა, ასტმით, ქრონიკული სურდოთი და რევმატიზმით დაავადებულთა სამკურნალოდ.

ᲮᲔᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲣᲗᲮᲔ



პროფესიული ჩვევა.

რადიო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით სა-შუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.